საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №1/210-2007 „25" სექტემბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 54^1 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს დებულება „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვის შესახებ".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №465 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2007 წლის 25 სექტემბერი № 1/210-2007
გადაწყვეტილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ეს დებულება განსაზღვრავს საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) მოსამართლეთა რეზერვის ფორმირების წესსა და რეზერვში ჩარიცხულ მოსამართლეთა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. მოსამართლეთა რეზერვი და მისი შექმნის მიზანი

1. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვს (შემდგომში - მოსამართლეთა რეზერვი) შეადგენენ ის მოსამართლეები, რომლებიც ვერ ახორციელებენ სამოსამართლო უფლებამოსილებას სასამართლოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის გამო.

2. მოსამართლეთა რეზერვის შექმნის მიზანია კანონმდებლობით განსაზღვრული მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მუხლი 3. მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვის წესი

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 54^1 მუხლის შესაბამისად, სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით სასამართლოს ლიკვიდაციის, აგრეთვე მოსამართლის თანამდებობის შემცირების შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამდებობიდან გათავისუფლებული მოსამართლისთვის სხვა სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების დაკისრება ან მოსამართლე უარს განაცხადებს უფლებამოსილების დაკისრებაზე, მოსამართლე, მისი წინასწარი წერილობითი თანხმობით, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ირიცხება მოსამართლეთა რეზერვში.

2. მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლოს ლიკვიდაციიდან ან მოსამართლის თანამდებობის შემცირებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

3. მოსამართლეს შეუძლია უარი განაცხადოს რეზერვში ჩარიცხვაზე.

მუხლი 4. მოსამართლეთა რეზერვიდან ამორიცხვა

1. მოსამართლე რეზერვიდან ამოირიცხება, თუ:

ა) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ბ) სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

გ) მიაღწია 65 წლის ასაკს;

დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;

ე) დაიკავა მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ვ) რეზერვში ყოფნის პერიოდში ამოეწურა სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა;

ზ) გარდაიცვალა;

თ) სადისციპლინო კოლეგიის ან სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შეეფარდა დისციპლინური სახდელი - საერთო სასამართლოს მოსამართლეთა რეზერვიდან ამორიცხვა;

ი) განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლეთა რეზერვიდან მისი ამორიცხვის შესახებ, თუ არ არსებობს ამ მუხლის „ა-თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები;

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე რეზერვიდან ამორიცხულად ითვლება უფლებამოსილების დაკისრების ვადით.

3. მოსამართლეთა რეზერვიდან ამორიცხვას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 5. სამოსამართლო უფლებამოსილების დაკისრება

1. რეზერვში ჩარიცხულ მოსამართლეს, მისი წინასწარი წერილობითი თანხმობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება ნებისმიერ დროს დაეკისროს სხვა სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება გარკვეული ვადით.

2. სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დასაკისრებლად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხულთაგან კანდიდატის შერჩევისას საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სპეციალობით მუშაობის გამოცდილება;

ბ) საქმიანი და მორალური რეპუტაცია;

გ) საკლასო ჩინი;

დ) სამეცნიერო ხარისხი.

მუხლი 6. მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხული მოსამართლის სოციალური დაცვის გარანტიები

მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხული მოსამართლე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54^1 მუხლის შესაბამისად, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე იღებს თანამდებობრივ სარგოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით, ხოლო საპენსიო ასაკის მიღწევისას ენიშნება სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.